# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 30 მაისი. 2017 წ. №107 (8244), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




ედიშერ ქარჩავა:

## თბილისის სასულიერო აკადემიაში მოკალათებულია ერთი ჯგუფი, რომელიც წარმატებულ სტუდენტებს განაწყობს ეკლესიის წინააღმდეგ

14



## ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაცია მიიღო

თბილისში მიმდინარე ნატოს საგაზაფხულო სესიაზე ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაცია მიიღო. დოკუმენტი სესიაზე საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა რასა იუკნევიციენემ წარადგინა.

დეკლარაციის ტექსტი:

**ასამბლეა**

**1. ულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების 99-ე და დამოუკიდებლობის აღდგენის 26-ე წლისთავს.**

**2. მოწოდებულია, კიდევ უფრო გააღრმაოს თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან, რომელიც 2016 წლის 8 ოქტომბერს აირჩიეს კონკურენტუნარიან და კარგად ადმინისტრირებულ გარემოში, სადაც ფუნდამენტური თავისუფლებები საზოგადოდ იყო დაცული.**

იხ. 2 გვ.

## ახალი ჯარიმები



## ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის

16



### ნანა ღვინეფაძე –

მაისი მისი სიყვარულია, ოცნებების ახდენის და მრავალი სიხარულის მომტანი თვე.

6

### გურამ ახალაია

კაცი, რომელიც „ვეფხის-ტყაოსნით“ სუნთქავს



# გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

**აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე 75 წლისაა**

## სამაგალითოა მისი პიროვნული ღირსებები და ცხოვრების გზა

მდიდარი და დიდბუნებოვანია ერი, რომლის წიაღშიც ასეთი პიროვნებები იბადებიან. ნამდვილად მეამაყება, რომ ამგვარი ადამიანის გვერდით დგომისა და საქმიანობის ბედნიერება მხვდა წილად.

არ შემიძლია, განსაკუთრებით არ აღვნიშნო მისი მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში — 1983 წლიდან, როგორც აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, 1988-დან ნამდვილი წევრისა და 2013 წლიდან, როგორც ეროვნული აკადემიის პრეზიდენტისა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული ინოვაციებისა და წარმატებული პროექტების ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს, ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ვთქვა: ბატონი გიორგი კვესიტაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც არასოდეს იხევს უკან ჯანსაღი აზრის დასამკვიდრებლად და აღწევს კიდეც იმ ჭეშმარიტ მიზანს, რომელიც ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდაა მიმართული. მან კარგად იცის ყოველი წუთის ფასი, დაბეჯითებით მიიწევს წინ და თავისი ღვაწლით ხელს უწყობს ფუნდამენტური მეცნიერებების მიღწევების ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვას.

კეთილშობილება უდიდესი სამკაულია ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელ სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი, სწორედ ამ კეთილშობილების გამო გიორგი კვესიტაძის სახელი განუყრელად უკავშირდება განვითარებას, მეცნიერებისა და განათლების წინსვლას, სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს.

მისი პიროვნული ღირსებანი და ცხოვრების გზა სამაგალითოა.

ახლა იგი თავისი მოღვაწეობის ზენიტში იმყოფება და მჯერა, რომ კვლავაც ბევრის გაკეთებას შეძლებს თავისი ხალხის სასიკეთოდ. მინდა, კიდევ ერთხელ გულწრფელად გამოვხატო ულრმესი პატივისცემა და სიყვარული ამ განუმეორებლად მომხიბლავი პიროვნების მიმართ. კვლავაც დიდხანს არ მოშლოდეს მკლავის ძალა, აზრის სიმრთელე და სულის სითბო.

**ფრიდონ თოდუა,**
**აკადემიკოსი**



ქართველ მეცნიერთა მტკიცე ბურჯი და ლიდერი – იხ. 4-5 გვ.

## მადლობა ღმერთს, რომ ეროვნულ აკადემიას ჭეშმარიტად ჰყავს ჭეშმარიტად ეროვნული პიროვნება!

სიტყვა „ეროვნულის“ ფასი ბევრმა არ იცის. ჰოდა, ვინც არ იცის, მისთვის ერი ნულზეა დაყვანილი. მადლობა ღმერთს, რომ ეროვნულ აკადემიას ჭეშმარიტად ჰყავს ჭეშმარიტად ეროვნული პიროვნება, უდახვეწილესი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი კვესიტაძე, რომელსაც 30 მაისს 75 წელი უსრულდება. 100 წლამდე 25 წელი დარჩა, მაგრამ ქართველ მეცნიერებსა და ქართველ მწერლებს დიდი სურვილი აქვთ, გიორგი კვესიტაძეს 100 წლისთავი მიულოცონ!

თქვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ფერადოვანია, რაც გამოიხატება ეროვნულ ერთგულებაში!

ბატონო პრეზიდენტო, დიდხანს ეყოლეთ ჩემს ბედკრულ საქართველოს!

თქვენნაირი ეროვნული სულისკვეთებით სავსე ხალხი თუ გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას!

დიდი პატივისცემით,

**ჯანსუღ ჩარკვიანი,**
**85 წლის საქართველოს სახალხო პოეტი**

# ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაცია მიიღო

(პირველი გვერდიდან)

3. ადასტურებს ნატოს ღია კარის პოლიტიკისადმი ერთგულებას ყველა იმ ევროპული დემოკრატიის მიმართ, რომელიც იზიარებს ალიანსის ფასეულობებს და სურვილი და უნარი აქვს, იკისროს წევრობის ვალდებულება; ხაზს უსვამს, რომ ნატო-ში გაწევრიანება არის მოკავშირეებისა და ასპირანტი ქვეყნის მიერ მისაღები გადაწყვეტილება და მასზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია მესამე ქვეყანას.

4. დარწმუნებულია, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის გზა სტაბილურობისკენ და რომ გაფართოების წინა ეტაპებმა გააძლიერეს როგორც ევროატლანტიკური, ისე გლობალური უსაფრთხოება.

5. უაღრესად აფასებს საქართველოს განგრძობად და მნიშვნელოვან წვლილს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და ავღანეთში ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიასა და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში მის შთამბეჭდავ მონაწილეობას. პატივს მიაგებს ავღანეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა დაღუპულსა და დაჭრილს.

6. ადასტურებს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ ურყევ მხარდაჭერას, რომელიც გამოხატულ იქნა, მათ შორის, 2015 წლის მაისის ბუდაპეშტში მიღებულ 419-ე დეკლარაციაში ნატო-ს გაფართოების თემაზე და 2016 წლის ნოემბერში სტამბოლში მიღებულ 431-ე რეზოლუციაში ნატო-ს ვარშავის შემდგომი თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკის თაობაზე. ეფუძნება რა 2008 წლის 3 აპრილის ბუქარესტის სამიტის დეკლარაციის დებულებებს, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა.



7. აღფრთოვანებულია რა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ საქართველოს მოსახლეობისა და მთავარი პოლიტიკური პარტიების მხრიდან არსებული მაღალი დონის უწყვეტი მხარდაჭერით.

8. მიესალმება ნატო-სა და საქართველოს შორის არსებულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დიალოგსა და პრაქტიკულ თანამშრომლობას, მათ შორის, ისეთი ინტეგრაციული მექანიზმების საშუალებით, როგორებიცაა ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი.

9. აღიარებს რა არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესში მიღწეულ შთამბეჭდავ პროგრესს, რაც აძლიერებს საქართველოს მდგრადობას და თავდაცვით შესაძლებლობას, ზრდის მოკავშირე ძალებთან თავსებადობას და ეხმარება საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისთვის მომზადებაში.

10. მიესალმება ნატოსა და საქართველოს ერთობლივ ძალისხმევას 2016 წლის ივლისში გახსნილი თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის განვითარების მიმართულებით, ისევე როგორც 2015 წლის აგვისტოში გახსნილი წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის ოპერაციული შესაძლებლობების მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და 2016 წლის ნოემბერში ნატო-საქართველოს ერთობლივი სწავლების ჩატარებას.

11. ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ალიანსის თანამშრომლობა საქართველოსთან მოიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს საბოლოო გაწევრიანებისთვის მოსამზადებლად, ასევე ითვალისწინებს რა მოკავშირე ლიდერების პოზიციას, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, წევრობის სამოქმედო გეგმის მეშვეობით, რაც ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია.

12. ხაზს უსვამს შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას საერთო ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, აღიარებს რა საქართველოს ჩართულობას შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგიულ დისკუსიებში და მიესალმება ვარშავის სამიტის გადაწყვეტილებას საქართველოსთან ამ საკითხში მიმდინარე დიალოგისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებასთან დაკავშირებით.

13. მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს მიერ დემოკრატიის კიდევ უფრო მეტი კონსოლიდაციისთვის, მისი ინსტიტუტების გამჭვირვალობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით მიღწეულ თანმიმდევრულ და მნიშვნელოვან პროგრესს, რაც მთელი რეგიონისთვის ძალიან პოზიტიურ მაგალითს წარმოადგენს. მხედველობაში იღებს რა, რომ შემდგომი ძალისხმევაა საჭირო კანონის უზენაესობისა და შეკავებისა და გაწონასწორების სისტემის განსამტკიცებლად, მედია-პლურალიზმის უზრუნველსაყოფად და პოლიტიკური პოლარიზაციის შესამცირებლად.

14. ადასტურებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და გმობს რა საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის განგრძობით უკანონო ოკუპაციას, ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიან დარღვევას, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, რუსეთის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების მუდმივად დარღვევას და რუსეთის მიერ ამ რეგიონების დე ფაქტო ანექსირებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, ასევე ამ ტერიტორიებზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონულ მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

15. მიესალმება რა საქართველოს კონსტრუქციულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია რუსეთთან დაძაბულობის დეესკალაციისკენ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით ძალის გამოუყენებლობის შესახებ გადადგმული ცალმხრივი ნაბიჯების ჩათვლით, ასევე მის კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში და თბილისის ძალისხმევას ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ჩართულობით.

16. მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავრობებსა და პარლამენტებს:

*ა) უზრუნველყონ ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მტკიცე პოლიტიკური მხარდაჭერა.*

*ბ) კიდევ უფრო გააღრმავონ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პოლიტიკური განზომილება, რათა შეიქმნას პირობები საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მისანიჭებლად.*

*გ) სრულად მიიღონ მონაწილეობა ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის იმპლემენტაციაში და განიხილონ დამატებითი პრაქტიკული გზები საქართველოს მხარდასაჭერად ძალისხმევის გააქტიურებაზე, მათ შორის, ნატო-საქართველოს ერთობლივი რეგულარული ან ორმხრივი სწავლებების ჩატარების გზით და მისი საზენიტო და სხვა თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობით.*

*დ) დაეხმარონ საქართველოს გააძლიეროს შესაძლებლობები ჰიბრიდული საფრთხეების საწინააღმდეგოს, პროპაგანდისა და დეზინფორმაციული კამპანიის ჩათვლით, რომელიც მიმართულია პროდასავლური სტრატეგიული კურსის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერის აღმოსაფხვრელად.*

*ე) კიდევ უფრო განავითარონ საქართველოსთან, როგორც ასპირანტ ქვეყანასთან შავი ზღვის უსაფრთხოების თემაზე დიალოგი და პრაქტიკული თანამშრომლობა.*

17. მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს:

*ა) ნატოში ინტეგრაციის პროცესის წინსვლის მიზნით სრულად გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რასაც ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა, გაძლიერებული შესაძლებლობების ჯგუფში და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების ინიციატივაში მისი მონაწილეობა და ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი იძლევა.*

*ბ) გააგრძელოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, შეინარჩუნოს შეკავებისა და გაწონასწორების სისტემა, გააძლიეროს დამოუკიდებელი სასამართლო, შეინარჩუნოს მედიაპლურალიზმი, გააღრმაოს დიალოგი და შეამციროს დაძაბულობა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის.*

18. მოუწოდებს რა რუსეთის ფედერაციას:

*ა) უზრუნველყოს (რუსეთის ფედერაციამ) თავისუფალი გადაადგილება და ვაჭრობა ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ.*

*ბ) პატივი სცეს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, უკან გაიწვიოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების აღიარება და ამ ტერიტორიებიდან გაიყვანოს საკუთარი შეიარაღებული ძალები.*

*გ) შეასრულოს საქართველოსთან მიმართებაში მისი ვალდებულებები და დაიცვას საერთაშორისო სამართალი.*

*დ) უპასუხოს საქართველოს მიერ ცალმხრივად აღებულ ვალდებულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ და თავი შეიკავოს საქართველოს მიმართ ნებისმიერი პროვოკაციული და აგრესიული ნაბიჯებისგან.*

*ე) ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დამკვირვებლების შესვლას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში.*

19. იღებს ვალდებულებას, როგორც წარსულში, ნატოში გაწევრიანების პროცესში საქართველოსთვის დახმარებისა და მხარდაჭერის გაგრძელებასთან დაკავშირებით, მათ შორის, საქართველო-ნატოს საპარლამენტთაშორისო საბჭოს მეშვეობით.



**ნატოს** საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პაოლო ალიმ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედ დელეგაციასა და მის ხელმძღვანელს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა.

„საქართველომ მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ ქართველმა ხალხმა მკაფიო არჩევანი გააკეთა –– რომ საქართველო ევროატლანტიკურ საზოგადოებას ეკუთვნის. ჩემი თბილისში ყოველი ვიზიტისას, ვხედავ, როგორია საერთო სულისკვეთება — ქართველი ხალხი გრძნობს, რომ მათი ბედისწერა და მომავალი ევროკავშირსა და ნატოსთან ერთადაა. ვიზიტის ფარგლებში ვნახეთ, რომ ქართველი ხალხი ამაყია ნატოს საპარლამენტო

იხ. 3 გვ.

## გიორგი კვირიკაშვილი: რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.**

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, საქართველო კარგად აცნობიერებს იმ გამოწვევებსაც, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

**„რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს 20 პროცენტის ოკუპაცია და მილიტარიზაცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ყირიმის უკანონო ანექსია, რომელსაც შედეგად მოჰყვა დესტაბილიზაცია აღმოსავლეთ უკრაინაში და გავლენის სფეროს გადანაწილება, ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის მშენებლობაში მიღწეული უდიდესი პროგრესის, როგორც ევროატლანტიკური საზოგადოების უდიდესი მონაპოვრის გაქარწყლებას ისახავს მიზნად. ჩვენი პასუხი ამ გამოწვევაზე გახლავთ მეტი დემოკრატიზაცია, მეტი ეკონომიკური განვითარება და მეტი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ამ გამოწვევებზე დასავლეთის ერთადერთი ქმედითი პასუხი უნდა იყოს მეტი ერთობა და სიმტკიცე თავისუფლებისა და სხვა ფუძემდებლური ღირებულებების დაცვის საკითხში, ღია კარის პოლიტიკა და შესაბამისი სურვილის მქონე ევროპული ქვეყნების ევროატლანტიკური მისწრაფებების მკაფიო მხარდაჭერა“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

## პაოლო ალი:
# საქართველო ევროატლანტიკურ საზოგადოებას ეკუთვნის

**ასამბლეის საგაზაფხულო სესიის მასპინძლობით და ასევე, ასამბლეაც ამაყია, რომ სესიას საქართველომ უმასპინძლა“,** — განაცხადა ასამბლეის პრეზიდენტმა.

პაოლო ალის განცხადებით, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ბოლო 15 წელია, აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ასამბლეის პრეზიდენტმა ისაუბრა საერთაშორისო უსაფრთხოებაში საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრიბუციაზე და აღნიშნა, რომ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მაღალი დონის პროფესიონალიზმისა და ნატოში ინტეგრაციისთვის მზაობის დემონსტრირება მოახდინეს. პაოლო ალიმ ქართველ სამხედროებს გლობალურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საზოგადოება იმ ქართველი ჯარისკაცების ვალშია, რომლებმაც მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ბრძოლას საკუთარი სიცოცხლე შესწირეს.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ისაუბრა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებაც და განაცხადა, რომ ნატო მხოლოდ თავდაცვის ალიანსი არ არის — ეს არის ხალხთა ერთობა, რომლებსაც დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ფუნდამენტური უფლებების, მოქალაქეების სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ღირებულებები აერთიანებთ. მისივე განცხადებით, ეჭვგარეშეა, რომ საქართველო ამ საერთო ღირებულებებს იზიარებს.

ასამბლეის პრეზიდენტის განცხადებით, 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებმა დაადასტურა ქართველი ხალხის მიდრეკილება დემოკრატიისადმი. როგორც პაოლო ალიმ აღნიშნა, ამ გზაზე ქართველების მხარდაჭერა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება.

პაოლო ალის განცხადებით, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა სისტემატურად გმობს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უკანონო ოკუპაციას. მისი თქმით, რუსული ანექსია მიუღებელია.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის განცხადებით, დეკლარაცია, რომელიც საგაზაფხულო სესიის პლენარულ სესიაზე მიიღეს, არის ძლიერი მხარდამჭერი განაცხადი დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს მიმართ, რომლის მომავალიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსშია. პაოლო ალიმ იმედი გამოთქვა, რომ დეკლარაცია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იქნება მიღებული. ასამბლეის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ასამბლეა, საქართველოს მხარდაჭერაში, ერთსულოვანია.

პაოლო ალიმ ისაუბრა მონტენეგროს ნატოში ინტეგრაციის შესახებაც და განაცხადა, რომ მონტენეგროს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება არის წარმატება საქართველოსთვისაც, რადგან ეს არის მკაფიო გზავნილი იმისა, რომ ნატოს კარი ღიაა და ვერანაირ საგარეო ზეწოლას წევრობის მიზნის განხორციელებისთვის ხელის შეშლა არ შეუძლია.

პაოლო ალის განცხადებით, ნატო ზრდის წარმომადგენლობას შავი ზღვის რეგიონში და აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორებთან, მათ შორის, საქართველოსთან. ასამბლეის პრეზიდენტმა ისაუბრა ტერორიზმთან ბრძოლისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე არსებული სხვა გამოწვევების შესახებაც და აღნიშნა, რომ ნატო უსაფრთხოების გარანტორად რჩება. პაოლო ალიმ ხაზგასმით აღნიშნა გლობალურ უსაფრთხოებაში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის როლისა და მნიშვნელობა.

ასამბლეის პრეზიდენტის განცხადებით, ქართველი ერის მისწრაფება ევროატლანტიკურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და მისი დამოუკიდებლობისა და ეროვნული იდენტობის სულისკვეთება — ყველასთვის შთამაგონებელია. პაოლო ალიმ საქართველოს გლობალურ უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი კონტრიბუციისთვის მადლობა გადაუხადა.

# სამმხრივი შეხვედრა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პაოლო ალიმ და უკრაინის ვერხოვნა რადას თავმჯდომარე ანდრეი პარუბიმ სამმხრივი შეხვედრა გამართეს.**



შეხვედრაზე საქართველოსა და უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული წარმატების, რეგიონში არსებული ვითარებისა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეასთან სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს.

ხაზგასმით აღინიშნა საქართველოსა და უკრაინას შორის მეგობრობისა და სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, საერთაშორისო ფორმატებში მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობა. საუბარი, ასევე, შეეხო შავი ზღვის რეგიონში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გააქტიურების მნიშვნელობას.

პაოლო ალიმ საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, მათი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერა დაადასტურა. მისივე თქმით, ასამბლეა მზად არის, ქვეყნებს ამ მიმართულებით მიზნის განხორციელებაში დაეხმაროს.

## როუზ გოტემოლერი:
# ალიანსს არ სურს რუსეთთან კონფლიქტის პროვოცირება, მას სურს ამ ქვეყნის მშვიდობისკენ შემობრუნება

**ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გოტემოლერი აცხადებს, რომ ალიანსს არ სურს, რუსეთთან კონფლიქტის პროვოცირება მოახდინოს, არამედ შემოაბრუნოს ეს ქვეყანა მშვიდობისაკენ. — ამის შესახებ გოტემოლერმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

„ჩვენი ვალია, რომ უსაფრთხოების დაფუძნებისთვის გამუდმებით ვიბრძოლოთ. ეს ტრანსატლანტიკური კავშირის



ამოცანაა. მინდა, პაოლო ალის ნათქვამი გავიმეორო და გავაგრძელო, რომ მთელს ამ მოვლენებში, საქართველოს როლი ძალიან და უაღრესად მნიშვნელოვანია. არასტაბილურობა სამხრეთ ნაწილში ჩვენი პლანეტისა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს. ჩვენ რუსეთთან მოპყრობის გარკვეულ მეთოდებსა და მიდგომებს ვეძებთ, რათა რეალურად, შინაარსის მქონე დიალოგი გავმართოთ ამ ქვეყანასთან და შესაბამისი შეხვედრები გვაქვს.

**რა თქმა უნდა, ალიანსს არ სურს, რომ რუსეთთან კონფლიქტის პროვოცირება მოახდინოს, არამედ შემოაბრუნოს ეს ქვეყანა მშვიდობისაკენ და, ფაქტობრივად, რათა ჩვენს თაობებს აღარ დავუტოვოთ ესოდენ რთული პოლიტიკური სიტუაცია“,** — განაცხადა გოტემოლერმა.

მისივე თქმით, პროგრესის მისაღწევად, სამხედრო ბიუჯეტები უნდა გაიზარდოს.

„ჩვენ ინვესტიციებს თავდაცვის დარგში ვზრდით, რაც ალიანსის წევრებს სჭირდებათ, გაცილებით ეფექტურად იბრძოლონ უშიშროებისთვის, უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის. 2014 წლამდე სამხედრო ბიუჯეტების შემცირება იყო, მაგრამ მას შემდეგ დავრწმუნდით, რომ ჩვენი ქმედებებისთვის ბიუჯეტი უნდა გავზარდოთ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია პროგრესის მისაღწევად.

**2014 წლის შემდეგ, ლიდერები შეთანხმდნენ გასულ კვირას, რომ ეროვნული მოქმედების გეგმები დასახონ ამ მიმართულებით. ალი სწორედ მხარს უჭერს იდეას, რომ რაც შეიძლება, თუნდაც ნაღდი ფულის შემოდინებით ნატოს უკეთესი კონსოლიდაცია მოვახდინოთ, რადგან თავდაცვისა და უსაფრთხოების დამყარება ამგვარი ფინანსური გეგმების გაფართოებას საჭიროებს. თებერვალში ამაზე მსჯელობა გვექნება ჩვენი მიზანია, ამ გეგმებზე დისკუსიები დავიწყოთ“,** — განაცხადა გოტემოლერმა.

# „საქართველო არის სატრანსპორტო ღერძის წამყვანი ქვეყანა“

**„საქართველო არის სატრანსპორტო ღერძის წამყვანი ქვეყანა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.**

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება განსაკუთრებით ტრანსპორტის სფეროში მნიშვნელოვანია საქართველოსა და რეგიონისთვის.



**„საქართველო არის სანდო სატრანზიტო პარტნიორი და სატრანსპორტო ღერძის წამყვანი ქვეყანა, რომელიც აქტიურად და წარმატებით მონაწილეობს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პროექტებსა და ინიციატივებში. ამასთან როგორც ენერგეტიკული ქარტიის წევრი საქართველო იყო და არის სანდო და პასუხისმგებელი ენერგეტიკული პარტნიორი, რომელსაც წვლილი შეაქვს დასავლეთის ბაზრებისთვის ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიცირებაში. ისეთ საერთაშორისო პროექტებს, როგორიცაა ბაქო-თბილისი- ერზრუმი და ბაქო-თბილისი- ჯეიჰანი, ასევე TANAP-ი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი (SCP) და AGRI, დიდი მნიშვნელობა აქვთ რეგიონული და ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით. ინტენსიურად ვმუშაობთ თურქმენეთის გაზის ევროპისკენ ტრანსპორტირების პროექტზე, რომელსაც „თეთრი ნაკადი“ ეწოდება“,** — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს აქვს განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების უდიდესი პოტენციალი, განსაკუთრებით ჰიდროელექტროენერგიის კუთხით, შთამბეჭდავია ქარის მზის ბიოლოგიური და გეოთერმული ენერგიის წყაროების პოტენციალი.

„ეკონომიკის სწრაფი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისა და ქვეყნის მიმზიდველობის ხარისხის ამაღლების მიზნით, მთავრობამ წამოიწყო ცვლილებათა ახალი ტალღა 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმის ფარგლებში, რაც მოიცავს გადასახადების სისტემის რეფორმას, ღია მმართველობასა და ბიზნეს-სექტორთან თანამშრომლობის გააქტიურებას, საბაზისო ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას და უმაღლესი განათლების რეფორმას. სიამაყით ვაცხადებ, რომ საქართველო არის ევროპული სახელმწიფოს კარგი მაგალითი, რომელიც შიდა თუ გარე გამოწვევების მიუხედავად, თანამიმდევრულად აგრძელებს სვლას დემოკრატიზაციის ინსტიტუტების აღმშენებლობის, ეკონომიკური განვითარების და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინსტიტუციური ინტეგრაციის გზაზე“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# თქვენთვის ნატოს კარი ღიაა

**ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ჩატარება საქართველოში. ძალიან მნიშვნელოვანია ის გზავნილები, რომელიც ამ ტრიბუნიდან გაჟღერდა,— განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, რომელმაც ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის პლენარულ სხდომაში მიიღო მონაწილეობა.**

„ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დეკლარაციის ტექსტი, რომელშიც ძალიან ნათლად და პირდაპირ არის ნახსენები, თუ რა გამოწვევები აქვს საქართველოს და საით მიისწრაფვის.

**მინდა, აღვნიშნო, რომ მაშინ როდესაც, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20% რუსეთს აქვს ოკუპირებული, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნატო-ს პრაქტიკულად მთელმა შემადგენლობამ ამ დეკლარაციით, რომელიც იქნება მიღებული, მოუწოდა რუსეთს იმისაკენ, რომ მოხდეს არაღიარება სეპარატისტული და ოკუპირებული რეგიონების, ასევე დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთალიანობის და ყველა იმ ძირითადი პრინციპის მიმართ, რომელიც მნიშვნელოვანია საერთაშორისო კანონმდებლობით. ასევე მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც ნატოს წევრ ქვეყნებს გააჩნიათ კანონშემოქმედების მიმართულებით, ეს არის გზავნილი ყველა ასპირანტი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის, რომ მათთვის ნატოს კარი არის ღია,“** — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა



# გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

## აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე 75 წლისაა

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე** იუბილარია. იგი დაბადების 75-ე წლისთავს ღვაწლმოსილი მეცნიერისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის მნიშვნელოვანი მიღწევებით ხელდამშვენებული ხვდება.

დაიბადა და აღიზარდა თბილისური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების ოჯახში. დედა – მარიამ გამილაღდიშვილი – ზოოტექნიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი, მამა – ივანე კვესიტაძე, ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის რექტორი და ვეტერინარიის დარგის აღიარებული ლიდერი იყო. ოჯახის ახლო მეგობართა წრეს შეადგენდნენ იმ დროის ქართველი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები: კონსტანტინე გამსახურდია, ილია ვეკუა, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, სერგი დურმიშიძე, მიხეილ კვესელავა... მშობლებმა და ოჯახის გარემოცვამ ბუნებრივად და ძალადაუტანებლად განაპირობეს მისი ცხოვრებისეული არჩევანი, მანამდე საშუალო სკოლის მოწაფის ბეჯითი სწავლითა და სპორტული წარმატებებით გაჯერებული წლები იყო. უმაღლესი განათლება თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო.

მომავალმა მკვლევარმა მეცნიერული წრთობის სახელოვანი სკოლა განვლო. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორიაში აკადემიკოს ს. დურმიშიძის ხელმძღვანელობით, მალე, მისივე რჩევით, სწავლა განაგრძო მოსკოვის ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში დარგის გამოჩენილი მეცნიერის, პროფ. რ. ფენიქსოვას ხელმძღვანელობით. იქვე დაიცვა საკანდიდატო (1969 წ.) და სადოქტორო (1980) დისერტაციები. ამის შემდეგ ახალგაზრდა მკვლევარი დაუბრუნდა მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტს, სადაც მალე სათავეში ჩაუდგა ლაბორატორიას. თავიდანვე გამოიკვეთა მისი მეცნიერული ინტერესების სფერო – იმ დროს ბიოლოგიის სწრაფად განვითარებადი დარგის, ენზიმოლოგიის, კერძოდ, ე.წ. ამილოლიზური ტიპის ფერმენტების ჩვეულებრივი და სტაბილური ფორმების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა. ამ მიმართულებით მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად ფერმენტების მრავალი თვისება (ფუნქციური, სტრუქტურული, კინეტიკური, თერმოდინამიკური) იქნა დადგენილი, რის საფუძველზეც სრულიად ახალი მიდგომებით მათი გამოყენების პერსპექტივები დაისახა. აღსანიშნავია, რომ მან პირველმა შეისწავლა მჟავამედეგი ამილაზა. შემდგომში ამ ფერმენტმა ფართო გამოყენება ჰპოვა კვების მრეწველობაში. მჟავამედეგი ამილაზას წარმოების ბიოტექნოლოგია ოლაინეს (ლატვია) ბიოქიმიურ ქარხანაში დაინერგა (1977). კვლევის ამ ციკლთან დაკავშირებით სულ 47 სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა, მათ შორის, მონოგრაფია, მიღებულია სსრკ-ს 14 საავტორო მოწმობა, რომელთაგანაც ერთი დაპატენტებულია აშშ-ში (1973), ორი შვეიცარიაში (1974) და ერთი დასავლეთ გერმანიაში (1974).

აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის პროცესში მან მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები დაამყარა სხვადასხვა ქვეყნის წამყვან მეცნიერებთან, აკადემიკოსებთან: ა. ოპარინთან, ვ. ბუკინთან, ვ. კრეტოვიჩთან, ვ. რომანოვთან, ი. ოვჩინიკოვთან, ვ. ბილაისთან, პროფ. ა. შელენბერგერთან და სხვებთან.

მისი სამეცნიერო ინტერესების არეალში განსაკუთრებული ადგილი უკავია ექსტრემალურ პირობებში მზარდი მიკროორგანიზმების და სხვადასხვა კრიტიკული პირობებისადმი მედეგი ფერმენტების გამოვლენასა და შესწავლას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ცილის ქიმიის, ასევე ევოლუციური ბიოლოგიის თვალსაზრისითაც. ამასთან, მათი პრაქტიკაში გამოყენება არსებული ტექნოლოგიების მნიშვნელოვან მოდერნიზაციასთან არის დაკავშირებული. ბატონ გიორგის, თანამშრომლებთან ერთად, მიღებული აქვს მიკროსკოპული სოკოების ოცამდე გენეტიკურად სტაბილური სამრეწველო დანიშნულების მუტანტური შტამი, რომლებსაც მკვეთრად აქვთ გამოხატული სტაბილური ფერმენტების ამაღლებული ბიოსინთეზის უნარი. მიღებულმა შედეგებმა საშუალება მისცა მას ექსტრემოფილური მიკროორგანიზმების მიერ ფერმენტების ბიოსინთეზის უნართან დაკავშირებული, პრინციპული ხასიათის მნიშვნელოვანი დებულებები ჩამოეყალიბებინა. აღნიშნული კვლევების ერთი ნაწილი პენსილვანიის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში ჩაატარა, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აწარმოებდა დაკვირვებებს. ამ პრობლემას 50-ზე მეტი პუბლიკაცია მიუძღვნა. 11 სტაბილური ფერმენტის პროდუცენტი კულტურა საავტორო მოწმობებით არის აღიარებული.

მნიშვნელოვანია მისი წვლილი ინსტიტუტისთვის ტრადიციული ქსენობიოქიმიაშიც, რომლის პიონერად მისი მასწავლებელი, აკად. ს. დურმიშიძე ითვლება. სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფის მიკროორგანიზმების და მცენარეების სიმბიოტური დეტოქსიკაციური პოტენციალის შესწავლასთან ერთად მან წინა პლანზე წამოსწია ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ტექნოლოგიური მხარე, რამაც მას, კოლეგებთან ერთად, საშუალება მისცა დედამიწის ეკოლოგიური პოტენციალის გაზრდის ახალი კონცეფცია ჩამოეყალიბებინა. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მისი თანაავტორობით გამოქვეყნებულია 20-მდე ნაშრომი.

ქვეყნისათვის უდავოდ პერსპექტიული და მრავალი სიკეთის მომტანია ფერმენტების მოქმედებაზე აგებული თანამედროვე მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების გამოყენება. ამ მეცნიერულ/ტექნოლოგიურ მიმართულებას საქართველოში საფუძველი გიორგი კვესიტაძემ ჩაუყარა. 1986 წ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ექსპერიმენტული ქარხანა, სადაც ორი ათეული ფერმენტის მიღების ტექნოლოგია არის აპრობირებული. ამ ფერმენტების საფუძველზე დამუშავებულია ათამდე თვისებრივად და ხარისხობრივად ახალი ბიოტექნოლოგია სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, მსუბუქ და კვების მრეწველობაში გამოსაყენებლად.

გ. კვესიტაძე ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობს კვლევით სამუშაოებს, რომელთა მიზანია ეროზირებული და ტოქსიკური ნაერთებით დაბინძურებული ნიადაგების რემედიაცია, მცენარეული და მიკრობული დეტოქსიკაციის მოლეკულური მექანიზმების დადგენა, ექსტრემალურ პირობებში მზარდი მიკროორგანიზმების სელექცია და მათი მეტაბოლური თავისებურებების დადგენა, მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოვლენა და მათი შეფასება. სტაბილური ფერმენტების აქტიური პროდუცენტი მიკროორგანიზმების შექმნა და მათი გამოყენების ტექნოლოგიების დამუშავება და სხვ.

სრულიად განსაკუთრებულია მისი დამსახურება საქართველოში ბიოტექნოლოგიის როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული კუთხით განვითარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა უაღრესად მნიშვნელოვანი ბიოტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა და მათი კონკრეტული მიზნებისთვის გამოყენება (ნიადაგებისა და წყალსატევების რეაბილიტაცია).

ის ორგანიზატორი ან მონაწილეა ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმისა (მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში ასამდე სამეცნიერო ფორუმის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა).

ხანგრძლივი და მჭიდრო სამეცნიერო თანამშრომლობა აკავშირებს უცხოეთის ისეთ აღიარებულ სამეცნიერო ცენტრებთან, როგორიცაა მაქს პლანკის ბიოქიმიის ინსტიტუტი, ვაინშტეფანის უნივერსიტეტი, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი (გერმანია); ავსტრიის სამრეწველო ბიოტექნოლოგიის ცენტრი (ACIB), გრაცის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ავსტრია); მურსიას უნივერსიტეტი, ინაგროსას კომპანია (ესპანეთი); საფრანგეთის ეროვნული ინსტიტუტი (INRA – ტულუზა); მეისეის უნივერსიტეტი, გარემოს დაცვის კვლევის ცენტრი (იაპონია); ზუდ-ქემი (SUDCHEMIE – მიუნჰენი, გერმანია); აშშ სამხედრო კვლევების ცენტრი (ვიკსბურგი); ლოურენს ბერკლის ეროვნული ლაბორატორია (კალიფორნია, აშშ), ოლაინეს ბიოპრეპარატების ქარხანა (ლატვია) და სხვ.

ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას წარმატებით უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სადაც დააფუძნა ბიოტექნოლოგიის კათედრა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის პროფესორი, დღემდე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორია; პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საზღვარგარეთაც. სხვადასხვა დროს მიწვეული იყო პენსილვანიის, აიოვას, ჯორჯიის, მასაჩუსეტსის, რადგერსის, დრექსელის, ლიჰაის უნივერსიტეტებში (აშშ), სადაც ბიოტექნოლოგიისა და ენზიმოლოგიის კურსებს კითხულობდა. მარტინ ლუთერის უნივერსიტეტში (ჰალე, გერმანია), სადაც მიჰყავდა რამდენიმე სალექციო კურსი (ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია, ენზიმოლოგია, ცილის ქიმია); მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტანტობით დაცულია 71 საკანდიდატო და 16 სადოქტორო დისერტაცია.

გ. კვესიტაძე არჩეულია მრავალი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების, სახელდობრ: ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის, მსოფლიოს ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის, ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების, ევროპის მიკრობიოლოგთა საზოგადოების, ევროპის ბიოტექნოლოგთა ფედერაციის და სხვ. საპატიო წევრად, საქართველოს ბიოუსაფრთხოების ასოციაციის პრეზიდენტად; რუმინეთის კონსტანცის „ოვიდიოს“ უნივერსიტეტის, დონის ტექნიკური უნივერსიტეტის, ყაზახეთის ნაციონალური აგრარული უნივერსიტეტის და სხვ. საპატიო დოქტორად. 2016 წელს მიენიჭა საპატიო თბილისელის წოდება.

გარკვეული წლების მანძილზე სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ხელისუფლების ორგანოებში მაღალი საპასუხისმგებლო თანამდებობების ტვირთის ტარებაც უწევდა. 1984-1987 წწ. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, მოგვიანებით, ქვეყნისათვის მეტად რთულ და მძიმე პერიოდში, 1992-1994 წწ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის პოსტები ეკავა.

გ. კვესიტაძე მეცნიერების თავდადებული ორგანიზატორია. 1971-1983 წწ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 1983-1987 წწ. იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, შემდგომ დირექტორია. მისი ოცდახუთწლიანი ხელმძღვანელობის პერიოდში ინსტიტუტმა (1998 წლიდან სერგი დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი) შეინარჩუნა მდიდარი სამეცნიერო ტრადიციები, ჩამოყალიბდა ახალი მიმართულებები. ინსტიტუტში ამჟამადაც (აგრარული უნივერსიტეტის შემადგენლობაში) ინტენსიურად გრძელდება სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები, რომელთა მიზანია მცენარეული წარმოშობის ახალი ბიოაქტიური ნაერთების გამოვლენა და მათი ბიოლოგიური აქტიურობის დადგენა, სტაბილური ფერმენტების აქტიური პროდუცენტი მიკროორგანიზმების შექმნა, შესაბამისი ტექნოლოგიების დამუშავება და სხვ., რასაც შესაბამისი ყურადღების პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, რომლის წევრიც ის არის 1988 წლიდან (წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს 1983 წ.). ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილებას, ხოლო 2013 წლიდან აკადემიის პრეზიდენტია. მისი პრეზიდენტობის დროს აკადემიის ცხოვრებაში არაერთი სიახლე დაინერგა. გადაიდგა ნაბიჯები ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დასაახლოებლად. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები, რომელთა შორის გამოირჩევა ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი, ჩამოყალიბდა მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისია, ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია და სხვ. გაფართოვდა მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობა ქვეყნის პარლამენტთან და სამთავრობო ორგანოებთან.

მისი თაოსნობით ბოლო წლებში აკადემია წარმატებით განაგრძობდა საერთაშორისო კავშირების გაფართოებას. ამის ნათელი მაგალითია უნიკალური პროექტი – ჩინეთისა და საქართველოს კვლევითი და ერთობლივი ტექნოლოგიების სატრანსფერო ცენტრის გახსნა ქალაქ იანტაიში. ამ პროექტმა ნომინაციაში „წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მეცნიერების დარგში“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯილდო „წლის საუკეთესო“ დაიმსახურა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ გ. კვესიტაძემ აშშ-ის სენატისაგან, კერძოდ, სენატორ ალ. ფრენკესაგან მიიღო პერსონალური მიწვევა ამერიკის სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი კვლევების ჩატარების თაობაზე ბიოსაწვავის ტექნოლოგიის დასამუშავებლად.

იუბილარი ჩვეული ენერგიითა და შემართებით განაგრძობს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ამ რთულ, მაგრამ საპატიო გზაზე შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ.

**როინ მეტრეველი,**
**აკადემიკოსი**
**ოთარ ნათიშვილი,**
**აკადემიკოსი**

# ულოცავენ უცხოელი კოლეგები

პროფესორ გ. კვესიტაძეს ვიცნობ მას შემდეგ, რაც იგი ჩემს ლაბორატორიაში მუშაობდა პენსილვანიის უნივერსიტეტში. შემდეგ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდა ლიჰაის უნივერსიტეტში. მე მასში თავიდანვე შევიცანი მშრომელი, ბრწყინვალე ერუდიციის უმაღლესი მეცნიერული ეთიკის მქონე მკვლევარი. საქართველოში მან შექმნა თანამედროვე ლაბორატორია, რომელიც ყველა პარამეტრს აკმაყოფილებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი წლების მანძილზე ჩატარებული სტაბილურ ფერმენტებთან დაკავშირებული კვლევები.

**არტურ ჰემფრი,**

**აშშ ეროვნული საინჟინრო აკადემიის წევრი, ბიოქიმიურ ინჟინერიაში „დაიამონდ“ პროფესორი**

* * *

პროფესორ გიორგი კვესიტაძის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ექსტრემალური პირობების მოყვარულ მიცელიალურ მიკრომიცეტებთან, ძალიან მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და შესანიშნავად ჩანს მკვლევრის დიაპაზონი. პროექტის რეალიზაცია უეჭველად გადაწყვეტს რამდენიმე მსხვილი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების პრობლემას ბიოქიმიურ ინჟინერიაში.



ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიაში წარმოებული კვლევები, რომელსაც პროფესორი გიორგი კვესიტაძე, მის მიერვე მომზადებულ, უაღრესად მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებთან ერთად ახორციელებს, გამოირჩევა ორიგინალობით, ფართო დიაპაზონითა და მეცნიერული სიღრმით. ასეთი მასშტაბური და მრავალმხრივი ექსტრემოფილური მიკროორგანიზმების გამოკვლევები მსოფლიოში არსად არ წარმოებს და ამ დარგში მისი პირველობა აღიარებულია.

**პიტერ რეილი,**

**აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქიმიური ინჟინერიის „ანსონ მარსტონდისტინგვიშ“ პროფესორი**

* * *

მე და ბატონ გიორგის, გარდა მეგობრობისა, ერთობლივი სამეცნიერო თანამშრომლობაც გვაკავშირებს ბიოტექნოლოგიის, ბიომრავალფეროვნებისა და „ექსტრემოფილების“ სფეროში, გვაქვს ერთობლივი საერთაშორისო პროექტები.

პირადად მე, ჩემი მეუღლე და შვილები ვულოცავთ დაბადების დღეს პროფესორ გიორგი კვესიტაძეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ყოველივე საუკეთესოს. კიდევ მრავალი წელი გაგვეტარებინოს ერთად.

**ვალტერ შტაინერი,**

**პროფესორი, ბიოტექნოლოგიისა და ბიოპროცესების ინსტიტუტი, გრაცის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ერცჰერცოგ იოჰანის უნივერსიტეტი**

* * *

პროფესორ გიორგი კვესიტაძესთან ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა მას შემდეგ, რაც იგი 1992



წელს ავირჩიეთ ორი საერთაშორისო ჟურნალის „Fresenius Environmental Bulletin და Ecotoxicolo-gy and Environmental Safety“-ის სარედაქციო კოლეგიის წევრად. ამ ხნის მანძილზე ჩვენ ერთობლივად გამოვაქვეყნეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომლებიც მცენარეების დეტოქსიკაციური პოტენციალის შესწავლას ეხებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ სერგი დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში წარმოებული კვლევები ხარისხობრივად ახალი ეკობიოტექნოლოგიების საფუძველი გახდება, ხოლო მიღებული შედეგები, უკვე ახლო მომავალში, საერთაშორისო მნიშვნელობას შეიძენენ.

**ფრედერიკ კოულსტონი,**

**(აშშ) — პროფესორი, თანამედროვე ეკოლოგიური ქიმიის ფუძემდებელი**

* * *

კოლეგებთან ერთად გიორგი კვესიტაძემ დაამუშავა ახალი, მცენარეების დეტოქსიკაციურ უნარზე დაფუძნებული, ეკოლოგიური კონცეფცია, რომელმაც საერთაშორისო აღიარება პოვა და საგრძნობლად გაზარდა დედამიწის ეკოლოგიური პოტენციალი.

**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „Прикладная Биохимия Микробиология“-ს სარედაქციო კოლეგია**

* * *

1997 წელს კიევში, „ნატოს“ მიერ მხარდაჭერილ კონფერენციაზე, მომიახლოვდა წარმოსადეგი ჯენტლმენი და ასე გამეცნო: ,,თუ შეძლებთ სიტყვა „კამიკაძის“ წარმოთქმას, მაშინ ჩემს გვარსაც სწორად დაასახელებთო. იგი უაღრესად დამაჯერებელი და შთამბეჭდავი იყო; მაქვს პატივი და პრივილეგია, ვიცნობდე და ვმუშაობდე ბატონ გიორგისთან, ვიცნობდე მის ოჯახსა და ჯადოსნურ ქვეყანას. ჩვენ ყოველთვის



მხარში ვუდგევართ ერთმანეთს. გიორგი კვესიტაძე არა მხოლოდ გამოჩენილი მეცნიერი, არამედ კარგი ორგანიზატორი და დიდებული ადამიანია.

იმედი გვაქვს, ბატონი გიორგისთვის დაბადების დღე მხოლოდ რიცხვია და კვლავ დაუღალავად გააგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს.

**თომას ტოროკი,**

**ლოურენს ბერკლის ეროვნული ლაბორატორია.**

* * *

ალარც კი მახსოვს როდის დაიწყო ჩვენი მეგობრობა, ნამდვილად XX საუკუნეში, მაგრამ მისი უცვლელი ენთუზიაზმი, ენერგია და პოზიტიურობა უსაზღვრო აღფრთოვანებას იწვევს ყოველი შეხვედრისას.

ის მეცნიერებისა და ცივილიზაციის ერთგული მედროშეა.

არაფერი მომანიჭებდა ისეთ სიხარულს, როგორც მანდ ყოფნა 30 მაისს. ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ სულითა და გულით ვუერთდები ამ იუბილეს.

**ჯერემი რამსდენი,**

**ნანოტექნოლოგიების პროფესორი, გაერთიანებული სამეფოს ბუკინგემის უნივერსიტეტი**

* * *

გილოცავთ 75 წლის იუბილეს. დიდია თქვენი ღვაწლი საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა თაობების აღზრდის საქმეში. თქვენი მეცნიერული მიღწევები უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ იაპონიასთან სამეცნიერო თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებაში.



საუკეთესო სურვილებით,

**ჰისაო ჰიდაკა,**

**ფილოსოფიის დოქტორი, მეისეის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი**

* * *

მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა თქვენი 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

დიდია თქვენი ღვაწლი და დამსახურება სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ბიოლოგიისა და ეკოლოგიის სფეროში ახალი ტექნოლოგიების შექმნაში. თქვენმა მრავალმა სამეცნიერო პუბლიკაციამ დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

განსაკუთრებულია თქვენი წვლილი ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის განმტკიცებაში. აზერბაიჯანისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიებს შორის მრავალწლიანი კავშირი ეფუძნება მეგობრობისა და სტაბილური პარტნიორობის პრინციპებს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ, უშრეტ ენერგიას სამეცნიერო მოღვაწეობაში.

საუკეთესო სურვილებით,

**აკიფ ალიზადე,**

**აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**

# ჭეშმარიტი მამულიშვილი

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიამ მილოცვის საპატიო მისია იმიტომ დამაკისრა, რომ მე და ბატონ გიორგის ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები ერთად გვაქვს გატარებული. მოსაგონარი იმდენია, რომ საგაზეთო მილოცვა კი არა, მთელი წიგნი არ ეყოფა. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ჩვენი მეგობრობა სამაგალითო იყო მთელი თბილისისათვის და არა მარტო თბილისისათვის. არ შევეხები მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამაზე ბევრი დაიწერება. აღვნიშნავ მის განსაკუთრებულ ნიჭსა და შრომისუნარიანობას, რომლითაც ასპირანტობის დროიდან მკვეთრად გამოირჩეოდა. ახასიათებდა მუდმივი სწრაფვა სიახლეებისაკენ. ამავდროულად იყო შესანიშნავი სპორტსმენი.

დაოჯახებაც ადრე, სულ ცხრამეტი წლისამ, მოასწრო. დაქორწინდა შესანიშნავ ქალბატონ ანაზე. მათ მხარს უმშვენებენ მართლაც გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული შვილები — მეცნიერებათა დოქტორი ედიშერი და ხელოვანი თამარი.

დიდ პროფესიონალს, დიდ მეცნიერს და დიდ მოღვაწეს ბატონ გიორგი კვესიტაძეს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წამოწყებებსა და წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**რევაზ არველაძე,**

**საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი.**

# დიდი ამაგი დასდო სოფლის მეურნეობის აღორძინებას

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო გულითადად ულოცავს გამოჩენილ მეცნიერსა და მამულიშვილს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლის იუბილეს.

დიდია ბატონი გიორგის დამსახურება საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და განვითარების საქმეში, ეს იგრძნობოდა ყოველთვის მისი ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორად, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრად, სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო მეთაურის მრჩევლად მუშაობის დროს.

ბატონი გიორგი ბრძანდებოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მის მიერ დაარსებული ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგე, 2011 წლიდან დღემდე ბრძანდება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი. მისი სამეცნიერო შრომების დიდი რაოდენობა მიძღვნილია სოფლის მეურნეობის პრობლემებისადმი, ამ სფეროში თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვის საკითხებისადმი.

ვუსურვებთ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში აღიარებულ დიდ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ჯანმრთელობას, წარმატებებს პირად და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

დღეს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ცნობილი პოეტის **ნანა ღვინეფაძის** დაბადების დღეა.

მაისი მისი სიყვარულია, ოცნებების ახდენის და მრავალი სიხარულის მომტანი თვე.

კიდევ ერთ მაისს ვულოცავთ ჩვენს უზერებელ და უშკნობ ნანას, ძვირფას კოლეგასა და მეგობარს, სათნო და მშვენიერ ქალბატონს.

მკითხველს ვთავაზობთ ნანა ღვინეფაძის ახალ ლექსებს:

**ნანა ღვინეფაძე**

## მაისის კვერთხი

* * *

განთიადისას უეცრად
ვიგრძენ ტკივილი მკვეთრი!
თითქოს ხანჯალმა გული გასერა!
მაგრამ იმედი
ისევ იმედობს,
როს შემეხება
მაისის კვერთხი!

## ძილისპირული

ძილისპირულზე ჩავუთქვამ ხოლმე,
მშვიდობიანმა დღემ რომ ინათოს...
თუ სამართალი სამართალია,
ჩვენმაც გაჭრას და
ჩვენმაც იმართლოს...
თუ საქართველო საქართველოა,
ღვთისა და ხატის ნებით იმართოს!
ყველა ქართველმა, მამულიშვილმა,
კვლავ იმამაცოს,
კვლავაც იკარგოს!
რომ ივერია რასაც დაერქვა,
არ გაცამტვერდეს არ დაიკარგოს...
ახლად შობილი ყველა ქართველი
ილიას მადლით რომ გაინათლოს!

ქართულმა მოდგმამ, ქართულმა ჯიშმა
რქაწითელივით რომ გაიხაროს!

## ბედო!

ბედო, რას მემართლები,
ბედო, რატომ მაშავებ?
ჭიამაიასავით,
მეც ხომ არას ვაშავებ!
გაზაფხული მიხარია!..

## ზოგჯერ!..

ზოგჯერ ისეთ ამბავს იგებ,
– შემოსძახებ – ევრიკა!
ზოგჯერ გულზე მოგხვდება
უცხო ფილმის რეპლიკა!

... ნახვამდის... ჩემო!
...მშვიდობით, ძვირფასო!

ვერ შეიცან, თუ შენს გვერდით
ვინ იყო და ვინ არი!

აი, დიდი სიყვარულის
სევდიანი ფინალი!

## ნატვრისთვალი

(ილუზია)

...კამათელივით რომ გაგიგორდეს
უცბად რამ კენჭი, –
და შეგეკითხოს –
არაფერი დაგიკარგავსო?!
თან დასანანი?!
რას უპასუხებ?!
...ვეტყვი... არაო!
...რა მექნებოდა აწ დასამალი?!
...ჰე, ჩაიცინებს, კენჭია ის
თუ კამათელი!
მაშ არაფერი?!მაშ არაფერი?!
და იმეორებს იმავ შეკითხვას



ღიმილ-ღიმილით:
მე პასუხს ველი!
...შენ დაგაფიქრებს,
დაგაღონებს
ღიმილი მისი –
წამს გაგიელვებს ფარული ეჭვი!
დასანანიო? – შეეკითხები;
-ჰო, დასანანი!
გამოგიტყდები –
დიდი ხნის წინათ!
აღარც კი ვიცი მისი გზა-კვალი!
– მე გაპოვნინებ, დამაკვირდი, –
– არ გეგონოო უბრალო კენჭი, –
ქვაჭრელა, ქია!..
– მე ნატვრისთვალი მქვია!
– სახელიც აღარ გახსოვს
განა?!

– რაღა დავმალო, –
ძილისპირულზე
მახსენდება ვით
დედის „ნანა“...
ვით დედის ნანა!

## ფრთოსანი

**აშშ-ში 83 წლის ასაკში გარდაიცვალა იუჯინ სერნარი – კოსმიურ ვოიაჟში სამჯერ ნამყოფი ასტრონავტი; მთვარეს კი ორჯერ სწვევია!**

მავანსა, მთვარემავალსა,
კვლავ მთვარე მონატრებია!
ეს ნატვრაც აცხადებია,-
ძალ-ღონე მომატებია!..
ფრთები შეუსხამს,
ძველ კვალსაც უმალ მიაგნო, –
თითქოსდა მთვარეც ელოდა!
მის მოლოდინში მნათობი
გულისგულში თუ მღეროდა, –
ნატვრა აუხდა
ფრთოსანსა, –
მსგავსი რამ არვის
სმენოდა!..

თუმცაღა დედამიწაზე
მოკვდავს სიკვდილი ელოდა!..

სანაქებოა, როს მეოცნებეს
გაუმართლდება მიზანში!..
მთვარეზე ორჯერ ნამყოფ კაცს
რა მოასვენებს მიწაში?..

## მაისის ოქროწვიმა

სამშობლოს გაღმა ვინც არის,
ახლანდელი თუ წინა,
საქართველოდან გილოცავთ
შვიდი მაისის წვიმა...

ჯერ გამიღიმა აისმა, –
შენც ხომ ხარ ერთი მაისა?!
მოლოცვას მივაყურადე, –
ვარდის ღიღინიც გაისმა!
მივეპარე, რომ მეკოცნა,
იღიმებოდა თანაც!
ველოდი, ეს მონატრება
თურმე უგვრძნია მასაც!
ვარდის ღიღინი, ღიმილი,
ჰოც იყო!... ჰოც და არაც!

**შოთა რუსთაველი – 850**

# კაცი, რომელიც „ვეფხისტყაოსნით“ სუნთქავს

**წლეულს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე აღინიშნება. ქართველი ხალხი ოდითგანვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გენიალური პოეტის უკვდავ ქმნილებას – „ვეფხისტყაოსანს“. ამის ერთ-ერთი ნათელი დასტურია დღემდე ტრადიციად შემონახული ჩვეულება „ვეფხისტყაოსნის“ მზითვად გატანება. საქართველოში მრავლად მოგვეპოვებოდნენ და ახლაც გვყავს პოემის ზეპირად მცოდნენი, კალიგრაფები, რომლებიც უნიკალურ ხელნაწერ გამოცემებს ქმნიდნენ და სხვა ტრადიციებთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლიდან (ვახტანგისეული პირველი სტამბური გამოცემის დღიდან), ქართველთა უპირველესი წიგნის შეგროვების ინიციატორები.**

ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ცნობილი ბიბლიოფილი, ბატონი **გურამ ახალაია**, რომლის პირადი კოლექცია 450 უიშვიათეს გამოცემას შეიცავს. ამასთან ერთად მის კოლექციაში დაცულია უნიკალური რუსთველოლოგიური ლიტერატურაც – 100-ზე მეტი წიგნი შოთა რუსთაველისა და მისი გენიალური ქმნილების შესახებ.



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს 26 მაისს ბატონმა გურამმა ქართველ ხალხს რუსთაველის დღეების ეგიდით მართლაც მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში მოეწყო ბიბლიოფილის კერძო კოლექციაში დაცული 1712-2017 წლებში დასტამბული „ვეფხისტყაოსნის“ ქართული და უცხოური უნიკალური გამოცემების გამოფენა. გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა საქართველოს მთავრობის, პარლამენტის წევრების, საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩებისა და საელჩოების წარმომადგენლების, დედაქალაქის სტუმრებისა და ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების სახით.

სპეციალურ სტენდებზე გამოფენილ წიგნებს თავისი ისტორია აქვს, ეს ცალკე თემაა და საზოგადოებისთვის მეტად საინტერესო, მაგრამ ჩვენი გაზეთის მკითხველს ვაუწყებთ, რომ ბიბლიოფილის ამ უკვდავი ნაწარმოების სხვადასხვა გამოცემების შეგროვება ზუსტად 50 წლის წინ დაიწყო, როდესაც შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს საჩუქრად პირველი „ვეფხისტყაოსანი“ გადასცეს. მას შემდეგ მისი კოლექცია მრავალი ექსპონატით შეივსო.



თავდაპირველად ქართულ და რუსულ გამოცემებს ვაგროვებდიო, – ბრძანებს ბატონი გურამი. შემდეგ მის „ვეფხისტყაოსნებს“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ენებზე გამოცემული პოემის ნიმუშებიც შეემატა. ახლა მისი კოლექცია 51 ენაზე გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ შეიცავს. ყველაზე უძველესი ვახტანგისეული 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანია“. ყველა ეგზემპლარი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უნიკალური და ბიბლიოფილისთვის სანუკვარია, რადგან მათ ამშვენებს ისეთი ცნობილი ადამიანების ავტოგრაფები და ბატონი გურამისადმი მიძღვნები, როგორებიც გახლავთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები, გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი, იუნესკოს გენერალური დირექტორი ირინა ბოკოვა, ალენ დელონი, მაია პლისეცკაია, დიმიტრი ხვოროსტოვსკი, მონსერატ კაბალიე, პლასიდო დომინგო, ევგენი ევტუშენკო, ცნობილი პოეტები, მწერლები, რუსთველოლოგები, რუსთაველის თეატრის დასის წევრები, გამოჩენილი მხატვრები. ამ გამოცემთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მინიატიურული „ვეფხისტყაოსანი“ კოსმონავტ ლეონოვის ავტოგრაფით. ეს უიშვიათესი ქმნილება დედამიწიდან კოსმოსში გაიგზავნა, შემდეგ კი ბინა ბატონი გურამის კოლექციაში დაიდო. აქ შეხვდებით ისეთ უნიკალურ ეგზემპლარებს, როგორიცაა დარგულ, ლეკურ, ჩუვაშურ, ადიღეურ, ყაბარდოულ, ჩეჩნურ, ფინურ და ესპერანტოს ენებზე გამოცემულ პოემას.



საგამოფენო სივრცის კედლებზე კი გამოფენილი იყო მართლაც უიშვიათესი ნიმუშები „21 საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა“. ბატონი გურამის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გამოჩენილმა პიროვნებებმა, წმინდა სინოდის წევრებმა, მეცნიერებმა, სპორტსმენებმა, მსახიობებმა პოემის თითო გვერდი გადაწერეს, ყველა გვერდი გაფორმებულია მხატვარ-რესტავრატორ ლია სიხარულიძის მიერ საკუთარი შემოქმედებითა და უნიკალური ქართული ხელნაწერებიდან გადმოღებული კამარებით, მინიატიურებით, კომპოზიციებითა და ორნამენტული ასომთავრულებით. დიდი შოთას უკვდავი პოემის სტრიქონები თავიანთი ხელით გადაუწერიათ როინ მეტრეველს, მარიკა ლორთქიფანიძეს, რეზო ჩხეიძეს, სოფიკო ჭიაურელს, მერაბ ბერძენიშვილს, ნონა გაფრინდაშვილს, გურამ დოჩანაშვილს და უამრავ სასიქადულო ქართველს. აქვე გამოფენილი იყო ცნობილი მხატვრების მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, რომლებიც გურამ ახალაიას კერძო კოლექციაშია დაცული.

მართლდაც რაოდენი მოწიწება, სიყვარული უნდა გაგაჩნდეს ქართველთა პირველი წიგნის მიმართ, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში ეძებო უნიკალური გამოცემები, ხელნაწერები, წიგნები, რომლებშიც თუნდაც ერთი სტრიქონია მიძღვნილი გენიალურ შოთა რუსთაველზე და მის უკვდავ პოემაზე.

**მამუკა ვაშაკიძე**

## ⦿ წინ, საქართველო!

# ოქროს ტოლფასი ვერცხლი



**ქართველმა ნიჩბოსანმა ზაზა ნადირაძემ მსოფლიო თასზე, რომელიც უნგრეთში გაიმართა, მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.**

| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 409 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის |

| | | |
|---|---|---|
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 30 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 14** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. მატანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ილტოს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 5 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. მატანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 991 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე | 99,1 ლარი |
| | (საწყისი ფასის 10 %) | |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 696 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 30 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 15** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წყლიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაშმის მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 225 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაშმის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 30 210 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 021 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 15 305 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 30 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 16** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოქალაქეებს არ შეუზღუდოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ვ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს არ უნდა მოხდეს მოცემული ზონის დატერორიანება, დაჭაობიანება ან დანაგვიანება სხვადასხვა სახის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარაჯალარის ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ყარაჯალარი"-ს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 101 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარაჯალარის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 13 637 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 363,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 11 110 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 30 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 17** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. თურდოს ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია P+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 90 000 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 068 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1206,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 9 854 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 30 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 18** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუს ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 460 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუს ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 47 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 224 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 30 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 19** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |

| | | |
|---|---|---|
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთას ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთას ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 30 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | | **ობიექტი № 20** |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წილკანის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (სამივე ჭაბურღილზე ერთად)- 40 000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წილკანის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 670 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 67 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 736 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 30 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 30 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

# ედიშერ ქარჩავა: თბილისის სასულიერო აკადემიაში მოკალათებულია ერთი ჯგუფი, რომელიც წარმატებულ სტუდენტებს განაწყობს ეკლესიის წინააღმდეგ



**თბილისის სასულიერო აკადემიაში მოკალათებულია ერთი ჯგუფი, რომელიც არ ცნობს პატრიარქს და არ აღიარებს როგორც სულიერ მამას, ეს ჯგუფი ახდენს წარმატებული სტუდენტების გადაბირებას და განაწყობს ეკლესიის წინაღმდეგ,** — აცხადებს საპატრიარქოს იურისტი ედიშერ ქარჩავა.

**„მეუფე პეტრე მუდამ იძახის, რომ სიმართლისთვის მებრძოლია, მაგრამ ეს ასე არ იქნება, თუ არ გამოვა და არ იტყვის, რას და როგორ გეგმავდა. მან უნდა თქვას, რომ ჩართული იყო იდეურად, სულიერად და შესაძლო მხარდაჭერითაც კათოლიკოს-პატრიარქის ტახტიდან ჩამოცილების საკითხში. მე ვერ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ ის იყო ერთ-ერთი მხარდამჭერი იმ ჯგუფის, ვინც გეგმავდა კათოლიკოს-პატრიარქის მოშორებას ყველანაირი ხერხით, სწორედ ამ ჯგუფის ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო მეუფე პეტრე“,** — განაცხადა ქარჩავამ.

მისი თქმით, „გამოვიდეს მეუფე პეტრე და თქვას, რომ მას სურს პატრიარქის მოშორება ტახტიდან“.

**„ამ საქმეში ასევე შემიძლია, დავასახელო პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი სოსო ოხანაშვილი, რომელიც გერმანიიდან მითვლის დედაოების ენით, რომ მე ამ თემაზე არ ვისაუბრო. მინდა, იცოდეთ, რომ არ ვაპირებ გაჩუმებას. ამასთანავე, მათ იდეურ მხარდამჭერებს თბილისის სასულიერო აკადემიიდან სურთ კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტის გაუქმება, ისინი საჯაროდ გამოთქვამენ სიმპათიას მსოფლიო პატრიარქისადმი და სურთ ავტოკეფალიის გაუქმება“,** — განაცხადა ქარჩავამ. ედიშერ ქარჩავამ ამ საქმეში არქიმანდრიტი ანდრიაც დაასახელა.

**„ამ საქმეში ასევე ვასახელებ მეუფე პეტრე ცაავას მღვდელს, მის ე.წ. პრესსამსახურს, არქიმანდრიტ ანდრიას და შესაძლებელია, ამ საქმეში იყვნენ სხვა სასულიერო პირებიც ჩართულები. ახლა ასეთი ვითარებაა, ორად არის გაყოფილი — ერთ მხარეს დგას პატრიარქი და დედაეკლესია, მეორე მხარეს — მეუფე პეტრე და მისი მხარდამჭერები. მიმაჩნია, რომ უნდა ვიცოდეთ, ვინ ვის ებრძვის, რათა შემდგომში ეს ხალხი ჩამოშორდეს ეკლესიას. მათი მხარდამჭერია თბილისის სასულიერო აკადემიაში მოკალათებული ჯგუფი, რომელიც არ ცნობს პატრიარქს. ეს ჯგუფი ახდენს წარმატებული სტუდენტების გადაბირებას და განაწყობს ეკლესიის წინააღმდეგ, საუბარია გოჩა ბარნოვზე და თემურ ბუაძეზე. ადრე მათთან პატრიარქთან დაკავშირებით დაპირისპირებული ვიყავი“,** — განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

# თაღლითობის ბრალდებით 5 პირი დააკავეს

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კომპიუტერული სისტემის ხელყოფის, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და თაღლითობის ბრალდებით, თბილისსა და გორში 5 პირი: 1989 წელს დაბადებული ლ. ბ., 1977 წელს დაბადებული ბ. ფ., 1984 წელს დაბადებული რ.ლ., 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ე. და 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.თ. დააკავეს.**



გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა რამდენიმე მოქალაქის ინტერნეტ ბანკის პირადი მონაცემები მოტყუებით მოიპოვეს და მათი გამოყენებით, სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან სესხები აიღეს. დაკავებულები, სესხის დამტკიცების შემდეგ, ფულს მათთვის ხელმისაწვდომ ანგარიშზე რიცხავდნენ, საიდანაც ხდებოდა თანხის განაღდება. აღნიშნული დანაშაულებრივი სქემის საშუალებით, ბრალდებულები საკრედიტო დაწესებულებების კუთვნილ 15 000 ლარს უკანონოდ დაეუფლნენ.

# სუიციდი რუსთავსა და ქობულეთში

**სუიციდის შემთხვევა რუსთავში — 64 წლის კაცი საცხოვრებელი კორპუსის მე-6 სართულიდან გადმოხტა.**

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

* * *

**ქობულეთში, რამდენიმე წლის წინ დამწვარი სასტუმრო „არმაზის“ მეპატრონე გარდაცვლილი იპოვეს. გავრცელებული ვერსიით, 50 წლამდე მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო.**

სასტუმრო „არმაზში“ 2 წლის წინათ მომხდარმა ხანძარმა ქ.რუსთავის ცეკვის ანსამბლის 3 მოზარდის სიცოცხლე შეიწირა. ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 115 მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# დოლიძეზე ტაქსის მძღოლი იარაღით დააყაჩაღეს



**არსებული ინფორმაციით, ტაქსის მძღოლს ფული იარაღის მუქარით წაართვეს. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.**

მომხდარს შსს-ში ადასტურებენ. როგორც „პირველ რადიოს“ უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე, ყაჩაღობის მუხლით აღიძრა.

# ბარცხანის კეთილმოწყობა ორ წელიწადში დასრულდება

**ბათუმში, ბარცხანის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე დასრულდა წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია.**




ამ ეტაპზე დასასრულს უახლოვდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები ძმები ნობელების ქუჩასა და შესახვევებში. პროექტის ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე არხები და ჭები. კეთილმოწყობის სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს კაზინეცის ქუჩაზე. ბარცხანის დასახლებაში ქუჩების რეაბილიტაცია 18 ქუჩასა და ჩიხში განხორციელდება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, ასფალტის საფარი, ბაზალტის ბორდიურები. ტროტუარებზე დაიგება დეკორატიული ფილები. აღნიშნული ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და 2018 წლის ივნისამდე დასრულდება. სამუშაოების ღირებულება 4 მილიონ 484 ათას 44 ლარს შეადგენს.

## სანთელი



შვილები ვაჟა, თინა, კლარა დანელიები, შვილიშვილები დარეჯან, ფატიმა გუდავები, პაატა, ინგა მილორავები, სიძეები ბორის მილორავა, მამუკა ქობალავა, როინ ქობულია, ლაშა ბარკალაია, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნაირა (ლეილა) დანელია**

დაკრძალვა პირველ ივნისს 15 სთ, სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ კოლეგასა და მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ვაჟა დანელიას დედის, უკეთილშობილესი და შვილებზე ზრუნვით დამაშვრალი ქალბატონის

**ნაირა დანელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ახლობლებსა და ნათესავებს.




**გეო ჰოლდინგი**

**გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323

557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

## განცხადება

2017 წლის 21 ივლისი 14 საათზე ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. 21-ში გაიმართება შპს „სათნო“-ს (ს/კ215110252) კუთვნილი ნავთობბაზის (ქ.ფოთი, ლარნაკას ქ.21) გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე განთავსებულ ნავთობბაზაში დაგეგმილი საქმიანობა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

- ქ. ფოთი, ლარნაკას ქ.21. შპს „სათნო“-ს სათავო ოფისი.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: ნიაზ ნანავა - მობ: 599 19 92 77

შპს „სათნო“-ს ადმინისტრაცია

# „შენც დარგე!“

**ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს რკინიგზამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ხეების დარგვის კამპანიაში მიიღო მონაწილეობა.**

ღონისძიებაში რკინიგზელები ოჯახის წევრებთან ერთად ჩაერთვნენ. აქციის მთავარი აქტივობა ხეების დარგვა იყო, თუმცა, რკინიგზელთა შვილებისათვის სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები მოეწყო.

ღონისძიების ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა ახალ წამოწყებას – საქართველოს რკინიგზამ პარტნიორ ორგანიზაციებთან „მაკულიტერატურა“ და „ბიბლუსთან“ ერთად, ხეები დარგო. ამავდროოულად გამოიწვია სხვა ორგანიზაციები, არ გადაყარონ ქაღალდი და გადასამუშავებლად ჩააბარონ. კომპანიების მიერ ჩაბარებული მაკულატურის სანაცვლოდ შესაბამისი რაოდენობის ხეები დაირგვება.

„პირველ რიგში მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „პალიტრას“, რომელიც მუდმივად კარგი პროექტებით გვაოცებს. ამჯერად, მათი პროექტის „მაკულიტერატურას“ 5 წლის იუბილეა. სწორედ „მაკულიტერატურას“ ინიციატივა იყო არ გადავყაროთ ნაგავში ქაღალდი, მოვაგროვოთ და სანაცვლოდ მივიღოთ არაჩვეულებრივი წიგნები. საქართველოს რკინიგზა დიდი სიამოვნებით ჩაერთო ამ პროექტში. ჩვენს კომპანიაში გროვდება ქაღალდი, რომელსაც არ ვყრით და გადავცემთ „მაკულიტერატურას“ ახალი წიგნების გამოსაცემად. ხოლო, დღევანდელ აქციას ჩვენივე სანერგე მეურნეობიდან გამოტანილი ნერგებით შევუერთდით.

## დემოგრაფია

# „მკვდარი სულების“ ჩინეთი?

**ჩინეთი დიდი ხანია, მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი და საერთაშორისო ასპარეზზე აქტიური მოთამაშეა, მაგრამ ქვეყნის დახურულობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ დემოგრაფები ვარაუდს გამოთქვამენ, რომ მისი მოსახლეობა 1,5 მილიარდი კაცი კი არა, სულ მცირე, სამჯერ ნაკლები მაინცაა!**

საქმე ისაა, რომ როგორც დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, ჩინეთმა, მის შემდეგ კი ინდოეთმა, ინდონეზიამ და საერთოდ, ყველა აზიურმა სახელმწიფომ, კარგად გაითავისა ის გარემოება, რომ ქვეყნის მოსახლეობა ისეთივე სტრატეგიული იარაღია, როგორიცაა ბომბები, რაკეტები, ავიამზიდები, წყალქვეშა ნავები და სხვ. თუ როგორი დემოგრაფიული ვითარებაა სინამდვილეში დღესდღეობით, როგორც ერთიანად აზიაში, ასევე კონკრეტულად ჩინეთში, უცნობია. ამ მხრივ, ყველა მონაცემი შეფასებითია, უკეთეს შემთხვევაში კი თავად ჩინელთა მოწოდებულია.

მონოგრაფიაში „ჩინეთის ისტორიული მაკროდინამიკა“ შემდეგი საგულისხმო ციფრებია მოყვანილი: 1845 წელს ჩინეთის მოსახლეობა 430 მილიონ კაცს შეადგენდა, ამდენივე იყო 1940 წელს, ხოლო 1945 წელს კი მათი ოდენობა უცბად 490 მილიონს გაუტოლდა. აქედან გამომდინარე, 95 წლის მანძილზე (1845-1940 წ.წ.) მოსახლეობის რიცხოვნობამ არ მოიმატა, მომდევნო 72 წელიწადში კი, ყველა კატაკლიზმის, მათ შორის, მეორე მსოფლიო და სამოქალაქო ომების, შიმშილისა და სიღატაკის პროგრამის „ერთი ოჯახი – ერთი ბავშვის“ მოქმედების მიუხედავად, მატებამ მილიარდი კაცი შეადგინა! მკვლევარებს დღესდღეობითაც უჭირთ იმის დაანგარიშება, თუ რამდენი ბავშვი უნდა გაეჩინათ ჩინელ ქალებს, რომ დემოგრაფიას ასეთი უზარმაზარი ნახტომი გაეკეთებინა! ამიტომაცაა, რომ ექსპერტები საფუძვლიან ვარაუდს გამოთქვამენ, რომ დღესდღეობით ჩინეთის მოსახლეობის რეალური მოსახლეობა, დეკლარირებულზე სამჯერ, შესაძლოა ოთხჯერაც ნაკლებია!

მეტიც, ჩინეთის ოცი უდიდესი ქალაქის მოსახლეობის დაჯამებით გამოდის, რომ იქ ერთიანად 230 მილიონი კაცი ცხოვრობს. კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება ისაა, რომ ჩინეთი ხუთ ავტონომიურ რაიონადაა დაყოფილი, რომელთაგან სამს 4 მილიონი კვადრატული კილომეტრი უკავია, რაც ქვეყნის მთელი ტერიტორიის თითქმის ნახევარს წარმოადგენს, არადა იქ მხოლოდ 46 მილიონი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტი ცხოვრობს(!)

ამიტომაც ისმება რამდენიმე სავსებით კანონიერი კითხვა: სადაა დანარჩენი მილიარდი?



სოფლებში? მაშ, საკვები სად მოჰყავთ? ნუთუ ტიბეტის მთებში, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ნახევარი უკავია? არადა, ამდენ ხალხს ხომ აუარება სურსათი სჭირდება?!

აქედან კი ობიექტურ მკვლევარებს დასკვნა გამოაქვთ, რომ მარტო საჭირო საკვების ოდენობის გათვალისწინებით, მოსახლეობის ამხელა რიცხოვნობაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია!

ამასთან, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა მოწინააღმდეგენი ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ჩინეთის მთავრობას სტატისტიკურ მონაცემებში არა მარტო ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობა (ჰუაჰანები) შეჰყავთ, არამედ საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეებსაც (ჰუაციაოებს) ითვალისწინებს. არადა მალაიზიაში, სინგაპურში, ფილიპინეზე, აშშ-ში, რუსეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში ყოველი მეოთხე ჩინელი ცხოვრობს.

თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სინოლოგის აზრით, ჩინეთის მოსახლეობა, მართალია, 1,5 მილიარდი კაცი არ არის, მაგრამ 500-600 მილიონ კაცს ბევრად აღემატება. ამის ერთ-ერთი არგუმენტი ისიცაა, რომ პროგრამის „ერთი ოჯახი – ერთი ბავშვის“ განხორციელებისას მშობლები იძულებული იყვნენ, შვილები არ დაერეგისტრირებინათ, ამიტომ ამ „დამალულ ბავშვთა“ რიცხოვნობა შესაძლოა ფანტასტიკურ ოდენობას – დაახლოებით 150 მილიონს (!!!) შეადგენდეს...

სხვათა შორის, ყველაფერთან ერთად არსებობს მოსაზრებაც, რომ მალე ცისქვეშეთის მოსახლეობა შემცირებას დაიწყებს. საქმე ისაა, რომ მშობიარობაზე კონტროლის დაწესების შემოღების შემდეგ ახალშობილთა ოდენობა 300 მილიონზე მეტით შემცირდა. სწორედ ამან მისცა ჩინეთს შესაძლებლობა, დაეზოგა საბიუჯეტო სახსრები, შეესუსტებინა რესურსებსა და გარემოზე ზეწოლა, ბიძგი მისცა ეკონომიკურ განვითარებასთვის და ა.შ. მაგრამ, მეორე მხრივ, თავი იჩინა მოსახლეობის დაბერების პრობლემამ, რომლის ზემოქმედება ეკონომიკაზე წლიდან წლამდე იზრდება. იმის მიუხედავადაც კი, როცა 2014 წელს მოსახლეობას ოჯახში მეორე შვილის ყოლის უფლება დართეს, ამას დემოგრაფიული აფეთქება არ მოჰყოლია.

არსებითი მომენტი ისიცაა, რომ ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად ახალგაზრდა ჩინელებს ქორწინებისადმი და ბავშვების მიმართაც დამოკიდებულება შეეცვალათ.

**ოთარ ტურაბელიძე**

# ვულოცავთ!

კვიპროსში მოღვაწე პროფესიონალ თბილისელ მხატვარს, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრს, აკადემია დელ-არტეს რესტავრაციის პროფესორს

## მიხეილ ებანოიძეს




ვულოცავთ დაბადების 50 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ სიცოცხლეს, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მასთან ერთად ამ ლამაზ დღეს ვულოცავთ მის მშვენიერ მეუღლეს ირინე ბეგიაშვილს, შვილებს ნინოსა და ვაჟას, მშობლებს ნუნუ ძამუკაშვილსა და ვაჟა ებანოიძეს, დას მაიას, დისწულს ბექას, მამიდას ანნას.

**მეგობრები**

# ახალი ჯარიმები ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის

**თბილისის ისტორიული უბნების მცხოვრებთათვის კარგად არის ცნობილი დისკომფორტი, რომელსაც მათ ახლომდებარე გასართობი დაწესებულებებიდან მომდინარე ხმაური უქმნით. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გარკვეული ზომები მიიღოს და ხმაურის წყაროს მფლობელებს ჯარიმები დააკისროს. ცხადია, ამის გამო ზოგიერთ ბარსა თუ კაფეს, შესაძლოა, მუშაობის რეჟიმისა და სტილის შეცვლა მოუხდეს. სიგარეტის აკრძალვის შემდეგ ეს მათთვის მორიგი შეზღუდვა იქნება.**

დღისა და ღამის საათებში საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივ/საჯარო შენობებში ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა წესდება.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში““ ცვლილებების პროექტი განიხილა, რომელიც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოამზადა. პროექტის ავტორები არიან პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, ლევან გოგიჩაიშვილი, ბექა ოდიშარია, გედევან ფოფხაძე, აკაკი ზოიძე, ირაკლი ბერაია, სალომე ზურაბიშვილი.



„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები პირველ ჯერზე ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის ფიზიკური და იურიდიული პირის გაფრთხილებას ითვალისწინებს. სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის – 500 ლარის ოდენობით.

ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის მესამედ და მის შემდგომ ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირისა – 300 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის – 1000 ლარის ოდენობით.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას დღისა (07.00-23.00 საათამდე) და ღამის საათებში (23.00-07.00 საათამდე) ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის. ასევე, კანონპროექტის გათვალისწინებით, 2018 წლის 1 აპრილამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს განიხილავენ შინაგან საქმეთა ორგანოები – საპატრულო პოლიცია, რომელიც განხორციელებულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი ხმაურმზომი ხელსაწყოებით უზრუნველყოფს პირისთვის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. 2018 წლის 1 აპრილიდან ეს ფუნქცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემა.

**ნინო ევგენიძე**

◎ ფსიქოლოგიური წვრთნა

# საკუთარი თავის რწმენის ძალა

**დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა, რომ გარშემო მყოფთა სიმპათიებს ძირითადად ლამაზი ადამიანები იწვევენ. ბოლო გამოკვლევების შედეგად კი დადგინდა, რომ ყველასათვის (და არა მხოლოდ სხვა სქესის წარმომადგენელთათვის!) თავის მოწონების უნიკალური თვისება საკუთარი თავის რწმენა ყოფილა.**




ფსიქოლოგებისთვის ეს ადვილი ასახსნელია, ვინაიდან საკუთარი ძალების რწმენა ცხოვრებისადმი პოზიტიურ მიდგომას უზრუნველყოფს. ასეთი ხალხი უფრო ოპტიმისტია, იშვიათად იწყენენ და ნაკლებად წუწუნებენ. საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანები კარგი ხელმძღვანელებიც არიან (თავიანთ მუშაკებს არავის აჩაგვრინებენ) და კარგი ხელქვეითებიც, რადგან მათთვის შეუსრულებელი დავალებები არ არსებობს.

მათ საზოგადოებაში თავს კომფორტულად გრძნობენ ოჯახის წევრებიც, თანამშრომლებიც და შემთხვევითი მგზავრებიც კი. ამიტომაცაა, რომ მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები წყვილს იოლად პოულობენ და მუდამ ბევრი მეგობარი ჰყავთ.

ამასთან, მნიშვნელოვანია ზღვრის გავლება ერთი მხრივ საკუთარი თავის რწმენასა და უაზრო თვითდაჯერებულობას შორის, რომელიც გარშემო მყოფთ ასეთ კაცზე პირიქით, გულს უცრუებს.

თუმცა ფსიქოლოგები იმასაც გვეუბნებიან, რომ ამ თვისების შეძენა რთული საქმეა. საკუთარი თავის მაღალი შეფასება, როგორც წესი, ბავშვობაში ყალიბდება (ამას უდავოდ ხელს უწყობს მშობლიური სიყვარული და ბავშვის როგორიც არის ისეთად აღქმა). იმისათვის, რომ ზრდასრულმა ადამიანმა საკუთარი ძალებისა ირწმუნოს, მან აუცილებლად უნდა გაიაზროს თავისი ძლიერი მხარეები და ეცადოს ის აკეთოს, რაც უკეთ გამოსდის.

კაცს, რომელიც საკუთარი წესებით და საკუთარსავე „მოედანზე“ თამაშობს, როგორც წესი, საკუთარი ძალების შეფასებაში პრობლემები არ წარმოეშვება ხოლმე.

**მოამზადა
დალი ხუნდაძემ**

# წყალი და მისი შემცვლელები

**დღე-ღამის განმავლობაში ადამიანმა 2-3 ლიტრი სითხე უნდა მიიღოს, თანაც აუცილებელი არ არის, რომ ეს აუცილებლად წყალი იყოს.**

ამ შემთხვევაში მთავარია მოცულობა, რომლის უზრუნველყოფა ნაწილობრივ წყალს, ნაწილობრივ კი სხვა სასმელებს, მათ შორის წვნიან კერძებს შეუძლია. რძე და ნებისმიერი ჩაი კარგი და სასარგებლო სასმელებია. წყლის ყავით შეცვლა კი არ ღირს, ვინაიდან ის ორგანიზმში სითხეს აკავებს. წვენების, კომპოტებისა და სხვა ტკბილეული სასმელების მიღება, შაქრის მაღალი შემცველობის გამო, ზომიერადაა საჭირო.



ცნობისთვის კი ვიტყვით, რომ ჭიქა წვენი ან გაზიანი სასმელი იმდენივე კალორიას შეიცავს, რამდენიცაა მაკარონიან ქათამში. თავად წყალი კი ოდნავ თბილი ან ოთახის ტემპერატურისა უნდა იყოს, ოღონდ არა ცივი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4172; ევრო - 2.7114;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1339;
100 რუბლი - 4.2921; თურქული ლირა - 0.6776;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4282;
1000 სომხური დრამი - 4.9942.

**ამინდი 30 მაისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +10 | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +6, | დღე +24 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +15, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე +16, | დღე +26 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge